

832

1964



ორგანო სპ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.

Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

რვაენი

დროშა

“NOTRE DRAPEAU”

დააკისებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

№ 41

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პ. ხ.—ხრუშჩოვის გაძევება.

ა. მაღრიძე—ორმოცი წელი შესრულდა.

ვლ. ხორნილაძე—საქართველოს კოლონიალ. მდგომარეობიდან.

ვანო ნანუაშვილი—ლენინი და ეროვნებათა საკითხი.

პლატონ ლეჟავა—პასუხი საანკეტო ფურცელზე «სამ. ხმ.» რედაქ.

პ. ხარჯველაძე—იმედი და რწმენა.

კიტა ჩხენკელი•

დამსწრე—ვლასა მგელოაძე.

ალ. შათირიშვილი—აკაკი პაპავა.

26 მაისი უცხოეთში და სხვ.

პარტიო.

ნ თ ე მ ბ ე რ ი.

Paris.

1964

ს რ უ შ რ ო ვ ი ს ბ ა ძ ე ვ ე ბ ა ...

მოხდა მოსალოდნელი... მომავალში კი დადგება იმათი რიგიც, რომლებმაც სრუშროვი გააძევეს, იმავე წესით, ჩაწყობ-შეთქმულებით, რომლითაც სრუშროვმა ჩამოიცილა და კრემლის ტახტზე დაბრძანდა. გააძევეს მისმა მეგობრებმა გუშინ რომ ტაშს უკრავდნენ, იწონებდნენ, ამხნევებდნენ; მიაყარეს ქვა და გუნდა; გამოჟინანეს შესაფერი «საქებარი» სიტყვებიც: მატყუარა, ტრაბახა, პიროვნული კულტის მიმთვი-სებელი და გამტარებელი. ასეთია კომუნისტური მორალი და მართველობის ის სისტემა რაც ნახევარი საუკუნეა სწამლავს ადამიანს, საზოგადოებას—საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ ხალხებს...

საბჭოთა რეჟიმის გახრწნა კარგა ხანია დაწყებულია. დღეს ეს ყველასთვის აშკარაა ლპობის პროცესი, რასაკვირვლია ვითარდება ნელ-ნელა. ისტორიული სტიქია თავის გზით მიდის და უნიადაგო მცენარეს ფესვებიანა თხრის, რადგან ბოლშევიკური იდეოლოგია დიდი ხანია გადაგვარდა, მან წარმოშვა დიდი პოლიტიკური სახელმწიფო, რომლის აღსასრული ახლოვდება... ვიცით, რომ ყველა ძალათ მაცხო-ნებელთა ბატონობა, ყველა დიქტატურა ინგრეოდა შიგნი-დან, ერთი მეორეს შეუძმით, ერთი-მეორეს განადგურებით... ძმათა ბრძოლა—დღიდან ბოლშევიზმის გაბატონებისა:—რაც ბოლშევიკურ პრინციპებიდან, მათი დოქტრინიდან მოდის და აღრმავდება...

რომელ ქვეყანაშია, რომ არ ხდება მთავრობის თუ მისი თავმჯდომარის გადაყენება, მაგრამ იგი აშკარა, ახდელი კრიტიკის, ერისგან არჩეულ საკანონმდებლო დაწესებულებ-ბაში მისი მოღვაწეობის დაფასების შედეგია, რომელსაც ძალიან ხშირად წინ უსწრებს პრესაში კამათი, მიუდგომელი კრიტიკა...

საბჭოთა ქვეყანაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ხალხის დაუკითხავათ დაშვებულია—იგი მიმდინარეობს თავისებური მეთოდით, ერთი-მეორეში ანგარიშის გასწორებით...

მთავრობის აპარატის ხელში ჩასაგდებათ, შეთქმულთა წრე არ მიმართავს თვით კომუნისტურ მასსას, არ სთვლის არც საჭიროთ და არც ღირსეულად მის ჩარევას, ყველაფერი წინასწარ გამზადებულია, პარტიის უმაღლეს ორგანოს წევრები ცალცალკე დამუშავებულია, —უკანასკნელ წუთამდე არსებულის ქება-დიდება გრძელდება;—უცებ—საქები და ღირსეულად მიჩნეული გაბახებულია და სანაგვეეში გადაგვე-

302X6



ბუღია. ასე მოიქცა გუშინდელი დიქტატორი—ამავე წესით
—გაისტუმრებენ ახლებსაც...

სასახლის გადატრიალებებისთანავე უნდა ამუშავდეს პრე-
სა, კომუჯრედები, მშრომელი მასსა—რათა ახალი ბატონები
აქონ-ადიდონ, გუშინდელი საქებარი აძაგონ, დაგმონ... ამ მე-
თოდმა ააღლევა უცხოეთის კომპარტიებიც კი და მოითხო-
ვენ ახსნა-განმარტებას მოსკოვისგან. იქ წარგზავნილი ემის-
რები შეიძლება დაკმაყოფილდნენ მომხდარი ფაქტით და შე-
ეცადონ თავიანთ პარტიულ მასსების დაწყნარებას, მაგრამ
უქანასკნელ ხანებში დაწყებული კომუნისტური მოძრაობის
მონოლიტური მდგომარეობის შერყევა—უსათუოდ გაღრმა-
ვდება, არც ერთი კომპარტიას აღარ სურს ძველებურად იმუ-
შაოს მოსკოვის დირექტივების ქვეშ.—კრემლის სასახლის
გადატრიალებამ გამოაჩინა ისეთი მახინჯი სახე.—რომ მისი
როლი განიავდა, დაპატარავდა, მის მეთაურობას ფაქტიუ-
რად ბოლო მოეღო. ესაა ერთი დადებითი შედეგი—ხრუშჩო-
ვის განგვირგვინებამ, რომ დააბოლოვა...

ეხლა ვიკითხოთ რა ცოდვები მიუძღვის ხრუშჩოვს, საკუ-
თარ პარტიისა თუ საბჭოთა ოლიგარხიის წინაშე? ის ხომ
ერთგულად შეუდგა მოსკოვის მიზნების პროპაგანდას უცხო-
ეთში და უწინასწარმეტყველა კაპიტალისტურ სამყაროს,
დასავლეთის ცივილიზაციას დანგრევა-მოსპობა. თავის თა-
ნაარსებობის თეორიის გატარებით იგი ცდილობდა საზოგა-
დოებრივი აზრის მიძინებას, მიყუჩებას, მისი სიფხიზლის შე-
ნელებას...

ხოლო შიგნით ათეულ რეფორმათა გატარებით სასოფ-
ლო მეურნეობის ფეხზე დაყენებას... ათეულ წლის მანძილ-
ზე—მის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას იწონებდა და
ადასტურებდა—პარტიის პლენიუმი და მისი ყოვლის შემ-
ძლე პრეზიდიუმი... შედეგი აღმოჩნდა უარყოფითი, სატელი-
ტების ჩამოშორება, კუბაში სამარცხვინო აქტის გათამაშე-
ბა, ბერლინის საკითხის მიყუჩება, ჩინეთთან დამოკიდებუ-
ლების გამწვავება, უცხო კომპარტიების ურჩობა, ხოლო ში-
ნაურ ფრონტზე სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სრული
გაკოტრება, სურსათ-სანოვაგის უქონლობა, საოჯახო საგნე-
ბის სიმცირე...

შეუძლებელია არ გავიზიაროთ ის აზრი, რომ ახალი ბა-
ტონები შიშის ზარმა შეიპყრო, რეჟიმის მოშლის საშიშრო-
ება მათ წინაშე აღიმართა, თვით კომუნისტურ მასსებში და
უმთავრესათ ახალგაზრდობაში შეჭრილმა კრიტიკულ აზრო-
ვნების შუქმა—ისინი დააფრთხო და შეუდგნენ ნაცადი გზით
მართველის სისტემის დაცვას, ამ სისტემის დასაყრდნობ
კომპარტიის გათეთრებას და მთელი ცოდვების ერთ პიროვ-
ნებაზე გადაბრალებას...

პარტიის დანაშაულის მიფუჩეჩებით, მისი უმწიკვლოთ
გამოყვანიტ, მისი დამაგრებით უზრუნველყოფილია თვით

რეჟიმის არსებობა, პრივილეგიურ კლასთა ბატონობაც გახანგრძლივებულია. რასაკვირველია ხრუშჩოვის დანაშაული ამით არ მცირდება. სოფლად და ქალაქად რომ მოგზაურობდა «ბედნიერებას» რომ არიგებდა, ამერიკის გასწვრივას—რომ პირდებოდა... და მისივე შთაგონებითა და კარნახით საბჭოთა პრესა კორიანტელს აყენებდა...

საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გატარების მონაწილენი და ხრუშჩოვთან ერთად გაკოტრების პირზე მისულნი—აწყობენ სასახლის გადატრიალებას, რათა დროზე შეეცადონ, სანამ გვიანი არ არის. საქმის გამოსწორებეს. იჩქარაინ დაარწმუნონ ევროპის საზოგადოებრივი აზრი, თანაარსებობის, თანამშრომლობის გატარების სურვილებში და შიგნით ხალხის ნივთიერი უზრუნველყოფის დამყარებაში. ცხადია ისე როგორც ხრუშჩოვს ახალ ბატონებსაც ხელი გაწვდილი აქვთ დასავლეთისკენ,—შიგნით—ეკონომიურად წელში გამართვა შეუძლებელია—თუ საბჭოთა სახელმწიფომ არ მიიღოს გარედან—გრძელვადიანი სესხი... შეუძლებელი არაა როგორც წარსულში, ევროპის სავაჭრო-საქმიან წრეებში, რომლებიც გატაცებული არიან შენაკვეთების მიღებით.—მუშტრის შიგნით—ხელი არ გაუწოდონ და არ მიეშველონ რომ დიქტატურის წაბორძიკებული შენობა დალუპვას გადაარჩინონ.

მაგრამ დრონი იცვალენ...

ვერც თანაარსებობის პოლიტიკა, ვერც ეკონომიურად დანტერესება ვერ ფარავს მოსკოვის საგარეო მიზნებს, ვერ ანელებს დემოკრატიულ ქვეყნების სიფხიზლეს და წინააღმდეგობას.—ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია: კუბა, ბერლინის საკითხი, ვეიტნამი და სხ.

ჩინეთთან დამოკიდებულების საკითხი კი ყველაზე რთულია და ძნელათ მოსაგვარებელი. ჩინელების მოსკოვის დღესასწაულზე ჩამოსვლა, სრულებით არ სწყვეტს საკითხს... ამით მხოლოდ დიალოგი ახლდება. ტვირთი კი იმავე ადგილზე დევს... კრემლის ახალი ბატონები რჩებიან მე 20 ყრილობის დადგენილებების—(დესტალინიზაცია) ნიადაგზე. ჩინელები კი მოითხოვენ ამ ყრილობის დეზავუაციას;—თანაარსებობა—კაპიტალისტურ სამყაროსთან, კომუნისტური მოძრაობის ღალატია.—ამ ორი, პეკინ-მოსკოვის კონტეკცია შეუთავსებელია,—მათი მორიგება არც ისე ადვილად შესაძლებელია...

მოსკოვში მომხდარი გადატრიალება—შეიძლება ახანგრძლივებდეს დიქტატურის ბატონობას, რაც არ ნიშნავს მისი რეჟიმის გამაგრებას, ხრუშჩოვის გადაგდებით და ამავე დროს მისი პოლიტიკის შეკეთებით ე. წ. კოლევგიალური მეთაურობა ვერ შექმნის დაწყებული ნგრევის შეჩერებას...

ყველა, ახლად წამოსაკუპებულნი ფიქრობდნენ წინათაც და ახლებიც ფიქრობენ უკეთეს ხელმძღვანელობის გაწევას.

რაც წინასწარ განწირული იყო და არის, რადგან მართველო ბის სისტემა რჩება იგივე, როგორც სულთამხუთავე ხალხის ნებისყოფის და სურვილების შემბორკველი; მისი სრული გადაშენების პროცესი კარგი ხანია დაწყებულია. დრო ამისთვის მუშაობს. ახალი ფორმულა «რეფლიუციონური ეკვლიუცია» შეიძლება გამოხატავდეს ამ პროცესს.

ვინ იქნება მესაფლავე? ხალხი—მისი რისხვა და მისი სუვერენული ძალა,—თუ დიქტატურისგან გაღებულ კარებში შემოიჭრება—შავი რეაქცია... უნდა ვიმედოვნოთ—რომ პირველი,—თუ რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას უწერია განახლება.

ბ. ს.

ორმოცი წელი შესრულდა!

ორმოცი წელი შესრულდა, რაც ქართველ ერმა სცადა უცხო უღლის გადაგდება, ეროვნულ ჩაგვრისგან განთავისუფლება და საკუთარ სახელმწიფოს აღდგენა. არის ისტორიაში თარიღი, რომელსაც უკუღმართი ცხოვრების ბრუნვა ვერ წაშლის. რაც უფრო შორს მიიმალება ისტორიის მანძილსე, მით უფრო შარავანდელით შეიმოსება და მომავალ თაობათა მეტათ სათაყვანებელი გახდება. სწორედ ასეთია 1924 წლის აჯანყება საქართველოსი. პატარა უიარალო ერი არ შეუშინდა მის მიწა-წყალზე გაბატონებულ ტლანქ ძალას, მოთმინებიდან გამოსული ეკვეთა მას და ბრძოლაში თავის გმირული სული გამოაჩინა. იგი იყო ფიზიკურად სუსტი მაგრამ სულით მაგარი მრავალ-რიცხოვან მტრის წინააღმდეგ გულ-მკერდ მიშვერილი... ვიცი, რომ ამ ბრძოლებმა მდგომარეობა ვერ შესცვალა და საქართველო კვლავ უცხო ძალის ბატონობაში დარჩა... მაგრამ განა ყველა აჯანყება გამარჯვებულა? ანდა ქვეყნად მოიპოება ისეთი ერი, რომელსად ისტორიის მსვლელობაში მწარე დამარცხება არ განეცადოს?

აჯანყებამ მრავალი მსხვერპლი შეიწირა, მუხთალმა და ვერაგმა მტერმა საკანში დიდი ხნით ადრე ჩამწყვდეული და მამასადამე ბრძოლის ველს გაშორებული მრავალი ათასი საუკეთესო შვილები ქართველი ერისა გაუღიბა.

«ცრუ და მუხთალი სოფელი, მიწყევ ავისა მქნელია»...

მუდამ ასეთია ბუნება მტარვალთა,—თავის სიმხვდალეს სასტიკათ ფარავს—შურისძიებით, განიარაღებულთა დახლცვით—ტერორით ცეცხლისა და მახვილის გაბატონებით...

მაგრამ დამარცხება ჩაგრულ ერს ახალ ბრძოლისკენ მოუწოდებს, რაც უფრო მწარეა მტრის მიერ მიყენებული ჭრი-

ლობა, მით უფრო დიდია სურვილი მონობის გადავდების და თავისუფლების აღდგენის. ეს არის, რომ აფრთხობს ჩვენს დამპყრობელებს. ვის შეუძლია ექვი შეიტანოს ქართველი ერის მისწრაფებაში, მის სურვილებში?... როგორ შეიძლება დაექვეება მის საბოლოო გამარჯვებაში—დღეს—როცა აღარ დარჩენილა დედამიწის ზურგზე მცირე ერები—მონობაში. გარდა რუსეთის იმპერიისა; კაცობრიობის ისტორია ბრძოლით და სისხლით იწერება, ძლიერი სუსტს იპყრობს, მაგრამ იშვიათი მაგალითია, რომ უცხო ტალღა,—უმადლეს კულტურის მატარებელ ერის სულს ხანგრძლივად დაპატრონებოდეს.

ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, როდის დაჰქრავს ქამი განთავისუფლებისა. მაგრამ ურყევია რწმენა, რომ აგვისტოს გმირთა ხელიდან მოტაცებული დროშა თბილისის სასახლეზე კვლავ აფრიალდება.

ეს მხოლოდ სურვილი როდია, ეს ისტორიული აუცილებლობაა. მართალია აგვისტოს შემდეგ საქართველომ განვლო მთელი ეპოქა აუწერელი ტანჯვით და მწარე გამოცდილებით აღსავსე, მაგრამ მიუხედავად ამისა მისგან ერთხელ აღებული გზა არ შეცვლილა და დასახულს მიზანს არ გადადგომია. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და უცხო ძალის, მის საზღვრებიდან განდევნა იყო და დარჩა ჩვენი ერის ძირითადი ამოცანა... რასაკვირველია დრო და გარემოება, პოლიტიკური ცხოვრების პირობები ცვლიან ბრძოლის ტაქტიკას, ფორმას... აგვისტო რჩება, როგორც ლამპარი ჩაუქრობელი გამკლავების და უდიდესი სიმბოლო დასახული მიზნის მისაღწევად. ქართველ ხალხმა უკეთ იცის როდის და როგორ მოიქცეს, რათა ნაკლები მსხვერპლით გავიდეს გამარჯვების ნაპირზე...

რუსეთის იმპერიის დეკოლონიზაცია დღიურ წესრიგში სდგას, ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს და სწორედ დაწყებულ პროცესს მივყევართ—საბჭოთა იმპერიის ფარგლებში მომწყვდეულ ერების განთავისუფლებისაკენ და ცხადია პირველი მსხვერპლი—პირველივე დაიბრუნებს ძალით მოტაცებულ თავისუფლებას...

აგვისტოს მსხვერპლთა სამარე ქართველი ხალხის გულია; წყნარად და მშვიდად განისვენებენ იქ სამარადისო ძილით. იციან, რომ მომყოლი თაობები წმინდად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას მათ და ერის წინაშე...

დღეს კი მოწიწებით თავი მოვიხაროთ და ვადიდოთ ქართველი მამულიშვილნი, რომლებიც აგვისტოს დღეებში—მტერს ეკვეთენ და თავიანთი თავი შიიტანეს ერის სამსხვერპლოზე.

ა. ბაღრიძე.

საქართველოს კოლონიალურ

მდგომარეობიდან...

I.

რამდენი დრო გადის უფრო ნათელი, აშკარა ხდება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დაბეჩავება. რომლის სათავეა მოსკოვი, მისი კოლონიალური პოლიტიკა. ცხოვრების ყველა დარგში შეჭრილია, — ისეთი წესები, რომლებიც ღრღინან, აჩანაგებენ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, მის მორალურ ღირსებას... ყოველდღიურ მწვავე ეკონომიურ ყოფაცხოვრებით გამოწვეული მიზეზები აიძულებს ადამიანს, თავის გატანის, გადარჩენის და უმთავრესათ ნივთიერი უზრუნველყოფის მიზნით გაპყვეს ისეთ გზას, შეითვისოს და ნორმალურად ჩასთვალოს ისეთი საშუალებები, რომლებიც მის პიროვნებას, როგორც მოქალაქისას სპობსა და ანადგურებს. მისთვის ხალტურა, შავი ბირჟა, გაძრომ-გამძრომა, ათასგვარი კომბინაციები ყველაფერი მისაღებია — ოღონდ სული გაიტანოს, თავისი პირადი და ოჯახური მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს... რეჟიმისგან დანერგილი წესები თანდათანობით ისე შედის ადამიანის სულიერ ვითარებაში, რომ ვეღარც კი ხედავს საზღვარს, თავშეკავების საპირობებას. მლიქვნელობა, მუცელზე ფორთხვა, დაბეზლება — გამეფებულია მთელს საბჭოთა იმპერიაში. თუ ამაში ვინმეს ეყვი ეპარება მან უნდა წაიკითხოს და თვალყური ადევნოს თვით საბჭოთა პრესას. ცხადია აქედან დაზღვეული არაა ჩვენი, ადგილობრივი — ეროვნული ცხოვრებაც.

ამ ორომტრიალში ჩათრეულია საზოგადოების ყველა ნაწილი, უმთავრესად საშუალო კლასები, რომლებსაც უფრო გაადვილებული აქვს მისვლა-მოსვლა, აქვს მეტი საშუალება დაახლოებული იყვეს — იმ უზრუნველყოფილ გაბურჯუაზიებულ კლასთან, რომელიც მას შეარველობს, რადგან თვითონ ხელს ითბობს, რადგან თვითონაც ჩათრეულია სხვადასხვა კომბინაციებში, — თუმცა მას აპარატი ხელში აქვს, სამართალს თვითონ აწესებს — ხოლო თვით სამართლიანობას მოკლევითულია. — ამის დაფარვაც ადვილად ეხერხება. ადგილობრივად შექმნილია სააგიტაციო და საპროპაგანდო ორგანოები ყოველდღიური პრესით, რომელსაც დავალებული აქვს იქადაგოს ხალხის გაბედნიერება, საზოგადოებრივი მორალის

დაცვა; ესეც ადვილად ეწყობა, ხელისუფლება დროგამოწვე-
ბით ასამართლებს «სპეკულიანტებს», «ხულიგნებს». — რათა
ამით მოაჩვენოს საზოგადოებას, რომ იცავს სიწმინდეს. ამით
სურს ცოტათი მაინც შეასუსტოს ის ანტაგონიზმი. რ.ომელ-
საც იჩენს ფართე მასსები, «დაჩების» ავტომობილების მესა-
კუთრეთა თავგასული თარეში. სოციალური და ეროვნული
ჩაგვრის მძიმე ტკივილები არ ხვდება იმ ტურისტის თვალში
იქნება იგი უცხოელი, თუ ერთი თვით ჩასული ქართველი.
რომელიც თბილისის წითელ ბურჟუაზიის მაგიდაზე შეწიწკი
ნებულ გოჭებს და ქათმებს მიირთმევს, ან კიდევ ჩვენი ტურ-
ფა ქალაქის კოხტათ მორთულ ადგილებს ჩათვალ იერებს და
მათი ცქერით დასტკბება... დიახ, ეს ტკივილები არ სჩანს მის
თვალში, რადგან მას არც ქარხნების მძიმე ატმოსფერაწრ-
ოფლში გაწურული მუშა უნახავს. არც მის გაპირვებულ
ოჯახურ ცხოვრებას გასცნობია, არც სოფლად გასულა და
ჩვენი ქალების ჩაის კრეფა უნახავს, არც ამ მეოჯახე ქალების
საცხოვრებელი ბინა დაუთვალ იერებია და მისი ყოველდღი-
ური ოზოვრება შეუსწავლია... მოგვიტხრობენ თითქოს ანგ-
დოტს, მაგრამ იგი სინამდვილეა. ხრუშჩოვი ესტუმრა გურბი-
ის ერთ კუთხეს, ყველას წარმოდგენილი გვაქვს, რომ რა სტუ-
მართ მოყვარეა ჯერ საერთოდ ქართველი და შემდეგ გურბი-
ლი... გაუწყვეს სტუმარს უხვი სუფრა. რა გინდა თურმე, რომ
არ იყო. სუფრაზე ხრუშჩოვს მოსწონებია ათეული სულ გუნე-
ბი... როცა შეზარხოშდა წინადადება მიუცია «ბევრი ქონე-
ბიათ—ერთი ვაგონი ასეთი ყველი კუბელებს გაუგზავნეთო»...
ჩვენი ზოგიერთი «ტურისტებიც» ხდება ყურადღების ღირსი
და გამასპინძლების თუნდაც მეორე დღეს მასპინძელს გამზმა-
რი მჭადის მეტი არაფერი ქონდეს... ასეთია ქართველი ოჯა-
ხის გულუხვობა. მაგრამ ასეთია კი სინამდვილე? . მარტლა
შეცურებულა ხალხი ბედნიერების ტალიებში?.. 45 წელზე
მეტია, რაც ჩვენი «მფარველი» საბჭოთა რუსეთი ბატონობს
ჩვენში, ქართველი იძულებულია პირველი მოხმარების საგ-
ნების შესაძენათ მოსკოვში გაემგზავროს, რადგან მისი დამ-
ზადება ან არ ხდება საქართველოში, ან კიდევ დანიშნულია
საექსპორტოთ, მაგრამ რა ადვილი სათქმელია—«მოსკოვში
გამგზავრება»... ეს შეუძლია თბილისში მცხოვრებ დიდ მო-
ხელეს და არა ჭანჭათის თუ ოკრიბის გლეხს, რომელიც იძუ-
ლებულია იცხოვროს პრიმიტიულ პირობებში...

თბილისის საპურეებში მართალია ცხვება შავი პური
მაგრამ იგი დანიშნულია «გაბედნიერებულ» მშრომელ ხალ-
ხისთვის, თეთრი პური კი ჩუმად სადმე იშოვება, მაგრამ ანას
მოხერხებული პირები აძვრენენ... ღვინის ქვეყანაში იყიდება

დაბალი ხარისხის წყალნარევი ღვინო, ისიც მამასისხლად. ციტრუსოვანი?... რასაკვირველია იშოვით—ნიგვზის სისხლო ღვინო და ფორთოხალს... და იქვეა ხილი—პახტა ვაშლი-ნიგოზი?... ხახვი?... კი იშოვით თუ ჯიბე გატენილი გაქვთ ფულით. სად მიდის ყველა ჩამოთვლილი საგნები?... მიბრძანდით მოსკოვის მაღაზიებში და იქ ნახავთ, რომ სწორედ ჩვენგან ჩატანილი სანოვაგე და კარგი ხარისხის საქონელი ამშვენებს «ვიტრინებს»... მაგრამ ყოველივე ამას ორი დანიშნულება აქვს: ერთი—გულუბრყვილო ტურისტებს და საქაქანოთ ჩამოსულ კურნალისტებს თვალი აუხვიონ და მეორეთ—გული გაუხარონ საბჭოთა უმაღლეს არისტოკრატიას მოსკოვის ახლო-მახლო საკუთარ «დაჩებში», რომ არიან გამოკვირმულნი.

ჩვენი განთქმული კურორტები სავსეა უცხოელებით, უმთავრესად რუსობით... რამდენი დასნეულებული ქართველი, სახსარს მოკლებული უცდის «ორდერს»—რომლის მიღება ადვილი იქნებოდა, რომ «ხელის უქუყვი» იყვეს, მაგრამ მას არ გააჩნია...

დიდ მიღწევად არის მიჩნეული ავტოს ქარხნები, მაგრამ რა ხეირი აქვს აქედან მოსახლეობას?... ავტოები, ან და მრავალი ნაწილები დანიშნულია საექსპორტოთ ჩამორჩენილ ქვეყნებისთვის,—სად მიდის აქედან შემოსავალი? ხმარდება იგი ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებას? სრულებითაც არა, იგი მიდის კრემლის სალაროში. განა არ არიან ფრიად დაწინაურებული მცირე ერები, რომლებსაც სრულებით არ გააჩნიათ საავტომობილო ქარხნები (ბელგია, შვეიცია და სხ.). მათ შემოაქვთ ავტოები გარედან... ჩვენი ლამაზი, ბუნებით დაჯილდოებული ქვეყანა—გადააქციეს უდიდეს ქარხანათ.—მარტო ჩვენი კურორტები და ბუნებრივი სიმდიდრენი ეყოფოდა ქართულ სახელმწიფოს...

საქართველოში ასეთი ეროვნულ-სოციალური ცხოვრება—ნამდვილ კოლონიალურ პირობებში ჩაყენებული—«კომუნისტი»-ს ფურცლებზე წარმოდგენილია მრავალფერად-ფერადობით, ჩასურათებულია ჩაის მკრეფავი ქალები მომღიმარე-მოცინარენი, ... დახგასთან მომუშავენი გალაღებულნი, ბრწყინვალე სახეებით, რომელია კუთხე—საქართველოსი, რომ არ მოდიდეს აღფრთოვანებული წერილები—კმაყოფილების. აი ეს სათვალმაქცო კომედია,—აშკარა დაცინვაა ხალხის, მისი აბუჩად აგდებაა.

ვლ. ხიზნილაძე.

ლენინი და ეკლემიკატი საკითხი.

დღეს მთელი მსოფლიო ეროვნულ და რასიულ ბრძოლის მწვევე და უმძიმეს მომენტს განიცდის. ამ ბრძოლას. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, თავის სხვადასხვა ელფერი ადევს და სხვადასხვა პოლიტიკური სახელი და ნიღაბი აქვს. ყველაზედ მძიმე სახით და ყველაზედ დიდ და შორსმწდომი მნიშვნელობით იგი წითელ ბანაკში მძვინვარებს, თუ ჯერ კიდევ შეიძლება, რომ ეს ბანაკი ვიგულისხმოს როგორც მთლიანი ერთეული. მთელ დედამიწის ზურგზედ ეს ბრძოლა თანდათან მწვევდება და არაფერი გვიჩვენებს; რომ შესაძლებელი იყოს მისი განულება ახლო მომავალში.

ეროვნულ მოძრაობის სტიქიური ძალა, თითქმის ნახევარი საუკუნე. წითელ კრემლის საჯამბაზო იარაღს წარმოადგენდა, რომელსაც მოსკოვის იმპერია მსოფლიოს დასაჯრევით და მის დასაპყრობათ ხმარობდა. დღეს ეს გათავდა. ეს ორმკვეთი იარაღი თითქმის თავისთავად, ავტომატიურად შეტრიალდა თვით მოსკოვის იმპერიის წინააღმდეგ. ეს მოხდა თვით წითელ ბანაკის წიაღში, მისი პირველ გაბზარვის ჩამოხაზვის მომენტში. აი ეს მოვლენა წარმოადგენს მსოფლიოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარების მთავარ ხაზს და განვითარების ცენტრს, რომლის მნიშვნელობასაც სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა მომენტში იგრძნობს.

რა ისტორიული გზით მივიდა ამ ბრძოლის ვითარება დღევანდელ მდგომარეობამდის? ეროვნულ მოძრაობის ესენებულ ნახევარ საუკუნის ნაკეთის გადახედვა ყველაზედ უკეთეს გაკვეთილს წარმოადგენს პრაქტიკულ პოლიტიკისთვის. იგი შემდეგ სურათს გვიჩატავს.

პირველ მსოფლიო ომის მსვლელობაში, ბრძოლის თანამედროვე სახემ, ბუნებრივი გზით აამუშავა ეროვნულ მოძრაობის მთელი საბრძოლო დინამიზმი. ცხადია, რომ ეს მოვლენა პირველ რიგში უნდა ეგრძნოთ იმ კოლონიალურ იმპერიებს, რომელთაც ჰყავდათ დამონავებული ისეთი ერები, რომელნიც კულტურით და სახელმწიფოებრივ ტრადიციებით, დაპყრობილ ერთა რიცხვში, ყველაზედ მაღლა იდგნენ და ხშირად თავიანთ დამპყრობელზედ წინ იყვნენ.

ეს ასეც მოხდა. ეს გაღვიძებული სტიქიური ძალა პირველ რიგში მოსკოვის და ჰამსბურგების იმპერიებს შეეხალა. ამით დაიწყო სრულიად ახალი ხანა კაცობრიობის განვითარებისა. ეს იყო ბოლო ერთი ერის მეორეზედ ბატონობის პრინციპისა, იყო ეს ბატონობა ღია აშკარა დაპყრობის სახით, თუ სხვა რამე ლამაზ კონსტიტუციებით დაფარულ მფლობელობისა. ეს იყო ბოლო პრელ და მრავალფეროვან კოლონიალურ იმ-

პერიებისა და დასაწყისი ყოველ სახელმწიფოთა თავიანთ ეთნოგრაფიულ საზღვრებით შემოფარგვისა.

პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობამ ცხადყო ერთი ფაქტი. დაპყრობილ ერთა განთავისუფლება, როგორც ახალი პროცესი კაცობრიობის განვითარებისა, დაიწყო თავის ნამდვილ სათანადო მომენტში და ნამდვილ სათანადო ალაგას, სახელდობრ, დაიწყო პირველ მსოფლიო ომშივე და დაიწყო რუსეთში და ავსტრო-უნგრეთში.

ოფიციალურ პოლიტიკურ საზოგადოებათა უმეტეს ნაწილისთვის ეს პოლიტიკური ძალა და მისი ბუნებრივი თვისებანი სრულიად ახალს და უცნობ ელემენტს წარმოადგენდნენ, მაგრამ წითელ რუსეთის მმართველები მას კარგათ იცნობდნენ. მათ უკვე ჰქონდათ სურვილი ამ სტიქიურ ძალის როგორმე ხელში ჩაგდებისა და მისი გამოყენების თავიანთ საკუთარ აგრესიულ განზრახვებისთვის.

ამ მიმართულებით იქმნა ჩამოყალიბებული წითელი კრემლის მოქმედების ხაზი საგარეო სარბიელზედ. მისი მოქმედების ერთი მთავარ ღერძთაგანი იყო ეროვნული მოძრაობის გამოყენება მთელ დედამიწის ზურგზედ. ეს დებულება ჩამოყალიბებული იქნა ღიათ, ნათლათ და აშკარათ, ყოველგვარ საიდუმლოების გარეშე, საჯარო პოლემიკის სახით 1917 წ, ჯერ კიდევ ბოლშევიკურ გადატრიალების წინ, რუსეთის რევოლუციონურ დროებითი მთავრობის დროს.

ამ დროს, ომის და რევოლუციის მოზღვავებულ პრობლემათა შორის, ერთა თვითგამორკვევის საკითხმა თავისთავად დაიკავა პირველი ალაგი. ამ საკითხის გარშემო გაიშართა მწვავე პოლემიკა პრესაში და ყველა მაშინდელ რუსულ პოლიტიკურ პარტიებმა ნათლად ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები ამ საკითხში.

ჩვენთვის საინტერესოა აზრი რუსეთის ორ უდიდეს მოწინააღმდეგე პარტიისა: ბოლშევიკებისა, როგორც რუსეთის მომავალ მფლობელების და კადეტების, რომელთა იდენით ეროვნულ საკითხში, იარაღით ხელში იბრძოდნენ ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს.

მიუხედავთ იმისა, რომ ეს პოლემიკა სწარმოებდა ლამის ნახევარი საუკუნის წინ, დღეს მის მთელ შინაარს, თითქმის, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით 1917 წელში. რა საკვირველია, ამ პოლემიკაში ყველაზედ დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ლენინის და სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, ვინაიდან აქედან წარმოიშობა კრემლის ის პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკა, რომელმაც რუსეთი დღევანდელ პოზიციაში მიიყვანა მსოფლიოს სარბიელზედ.

კადეტთა პარტია (კ. დ. კონსტიტუციური დემოკრატია) დაადგა შემდეგ დებულებას: თუ დაპყრობილ ერებს მიენიჭათ თვითგამორკვევის და ჩამოშორების უფლება, ამას შედეგათ მოსკოვის იმპერიის დაშლა მოჰყვება. აქედნ კადეტები

მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავდნენ, სახელდობრ: «ეროვნებათა საკითხი არ არსებობს რუსეთის იმპერიაში».

ლენინი მძაფრად ეკვეთა კადეტების ამ აზრს. მან თავის შეხედულება ჩამოაყალიბა შემდეგ წერილებში:

«კადეტები და ნაციონალისტები»,

«კადეტები და ერთა თვითგამორკვევის უფლება»,

«ჯამი თვითგამორკვევის გარშემო წარმოებულ კამათისა».

«სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება»,

«კიდევ ნაციონალიზმის შესახებ».

ყველა ეს წერილები მოთავსებული არიან ლენინის ნაწარმოებთა კრებულის მეცხრამეტე ტომში. მოგვყავს ნაკვეთები ამ წერილებში მის მიერ ჩამოყალიბებულ აზრებისა.

«თვითგამორკვევის პრინციპის პროპაგანდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალიზმის მუწუკის მოსპობისთვის მის ყოველგვარ სახეში (ყოველგვარ ფორმაში)», ამბობს იგი. შემდეგ:

«როდესაც ვცნობთ ერების სრულ ჩამოშორების უფლებას, ამით ვამცირებთ ხიფათს იმპერიის დაშლისა».

«ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი ერი უუქველად უნდა ჩამოშორდეს იმპერიას. ეს საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქმნეს სრულიად ცალკალკე ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სოციალიზმისთვის». აქ სინამდვილეში უნდა ვიგულისხმეთ რუსული კომუნისტური პარტია და რუსული ინტერესები.

რა შეხედულებისა იყო სტალინი ამ საკითხზე?

კომუნისტური პარტიის 1917 წლის აპრილის კონფერენციაზე, თავის სიტყვაში მან ასე ჩამოაყალიბა თავისი აზრი:

«მე მწამს, რომ მონარქიულ რეჟიმის მოსპობის შემდეგ ცხრა მეთედი ერებისა აღარ მოისურვებენ იმპერიიდან ჩამოშორებას».

ამავე წლის 6 სექტემბერს (ე. ი. ბოლშევიკურ გადატრიალების ორი თვის წინ) სტალინმა მოათავსა სპეციალური წერილი ამავე საკითხზე, რომელიც აღნიშნავდა: «ერთა ჩამოშორების უფლების პრინციპიალური აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ერისთვის სავალდებულო იყოს, რომ ეს მოითხოვოს და განახორციელოს! ყოველ ამ შემთხვევაში პარტია იტოვებს თავისთვის სრულ თავისუფლებას იმისა, რომ თავის ავტოკრიით მიეშველოს და მხარი დაუჭიროს ამ ჩამოშორებას, თუ პირიქით შეებრძოლოს მას. ეს მუდამ დამოკიდებული იქნება პროლეტარიატის ინტერესებზე» (იგულისხმეთ—რუსეთის კომუნისტურ პარტიის ინტერესებზე). სულ ორი თვის შემდეგ ამ წერილისა, აი ამ პიროვნებას ჩააბარეს ეროვნებათა საკითხი ლენინის პირველ

მთავრობაში, როგორც კომისარს «რუსეთის ერების საკითხის კომისარიატისა.

თვით თეორიული ჩამოყალიბება ამ საკითხებისა, გვიჩვენებს შემდეგ მკვეთრ ხაზებს ლენინის და რუსულ კომუნისტურ პარტიის საბოლოო მიზნებისა.

ხსენებულ პოლემიკაში, თავის წერილში «კიდევ ნაციონალიზმის შესახებ» ლენინი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიაში თვით რუსები წარმოადგენენ მხოლოდ 43 პროცენტს მთელი მოსახლეობისა, დაპყრობილი ერები კი წარმოადგენენ 57 პროცენტს. ყველა მის წერილებს ამ საკითხში მხოლოდ ერთი და იგივე მიზანი აქვთ: რა საშუალებითაც არ უნდა იყოს ეს, რაც არ უნდა ერქვას მას—ფედერაცია, კონფედერაცია თუ სხვა, რა კონსტიტუციაც არ იქმნეს დაწერილი—ეს სულ ერთია; ეს უნდა იყოს დესპოტიური ცენტრალისტური ხელისუფლება და ამ 43 პროც. რუსულ ეროვნების უმცირესობის ბატონობა დანარჩენ 57 პროც. უმრავლესობაზე და ეს ურყევლათ უნდა იყოს დაცული.

ზემოთ ხსენებულ სიტყვებში და წერილებში, სტალინი ლენინზე უფრო შორს მიდის. იგი ნათლად აღნიშნავს, რომ კომუნისტურ პარტიის მიერ აღიარებულ პრინციპების მიზანი მხოლოდ ერთია—მათ უნდა გაამაგრონ დაპყრობილ ერების მორჩილება რუსეთის მიმართ და არა შეასუსტონ; რომ ყოველგვარი დეკლარაციები და კონსტიტუციები დაპყრობილ ერთა მიმართ წარმოადგენენ მხოლოდ ლამაზ ნიღაბს რუსულ კომუნისტურ პარტიის სულ საწინმალმდეგო, დაფარულ მიზნებისა.

აი ამისთვისაა, რომ დღევანდლამდის კრემლი, სხვა ერების კომუნისტური პარტიებისთვის სავალდებულოთ სთვლის მარქსის მცნების მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ახსნა-განმარტებას. აი ეს ფაქტი არღვევს დღეს წითელ ბანაკს.

მთელ ზემოხსენებულ პოლემიკიდან ვხედავთ, რომ ეროვნებათა საკითხში, რუს კადეტებს და ლენინს ერთიდაიგივე მიზანი აქვთ, სახელდობ: იმპერიის მთლიანობა და რუსულ უმცირესობის ბატონობა ამ იმპერიაში. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევ ბრძოლის მეთოდებში და ტაქტიკაშია.

კადეტებს სურთ პრიმიტიული სახით გადაუსვან ხაზი ამ საკითხს—არ არსებობს ეროვნებათა საკითხი და გათავდა! დანარჩენ საქმეს ალბათ პოლიცემისტრებს გადასცემდნენ.

ლენინი ამ საკითხს, თავის თანამედროვე რუს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, ყველაზე კარგად იცნობდა. მან საუკუნოდ იცოდა, რომ რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 57 პროცენტისთვის ეროვნული პრობლემა უმწვავეს საკითხს წარმოადგენდა. იცოდა, რომ ამ საკითხის გვერდის ავლა არსებით არ მოხერხდებოდა და, რომ იმპერიის მთლიანობის და რუსულ ელემენტის ბატონობის გადასარჩენათ, მხოლოდ ერ-

თი გზა არსებობდა: ხმარება კარგათ გამოთვლილ მანევრისა. ე. ი. ფორმალური აღიარება «ერთა თვითგამორკვევის უფლებებისა». ამ მანევრს უნდა დაერღვია დაპყრობილ ერების მებრძოლი რიგები. ე. ი. კადეტებს სურდათ მხოლოდ უხეში ძალის ხმარება. ლენინს სურდა დაპყრობილ ერთა რიგების ჯერ მანევრით დარღვევა და მხოლოდ მერე ხმარება ძალისა, მათი საბოლოოთ გასათავებლათ.

დღეს ნახევარ საუკუნის პერსპექტივიდან ცხადათ ვხედავთ, რომ ლენინი უფრო ახლო მივიდა რუსეთის ძველ ნაციონალისტურ სახელმწიფოებრივ იდეასთან, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე კადეტები და ამ საკითხში, რომ შესძლებიყოთ ხმის ამოღება რუსეთის ყველაზე დიდ დამპყრობელებს იოანე მრისხანეს და ეკატერინე მეორეს—ისინი მხოლოდ ლენინის მხარეზე დადგებოდნენ.

როგორ უყურებდა ლენინი ამავე საკითხის მეორე მხარეს—სახელდობ სხვა კოლონიალურ სახელმწიფოთა მიერ დაპყრობილ ერების საკითხს?

ამაზე ლენინი გარკვეულათ ამბობს თავის, ზემოთხსენებულ წერილში: «ჯამი თვითგამორკვევის გარშემო წარმოებულ კამათისა». იგი სწერს: «ჩვენ ძლიერ ლატაკი და ცუდი რევოლიუციონერები ვიქნებით, თუ პროლეტარიატის და სოციალისტების გამანთავისუფლებელ დიდ ბრძოლაში, არ გამოვიყენებთ ნაციონალური ბრძოლა, მიმართული იმპერიალისტების წინააღმდეგ და ამით არ გავაღრმავებთ და არ გავამწვავებთ მათი კრიზისი».

ამ წერილის აზრის სრულ გაშუქებისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი: მუქქარე ტერმინები, როგორც—პროლეტარიატი, სოციალისმი და თავისუფლების მაგიერ უნდა ვიხმაროთ ნამდვილი სახელი—რუსეთი და მთელი შინაარსის ცინიზმი თვალხნიერი ხდება.

უფრო ნათლად ვააშუქა სტალინმა ეს საკითხი თავის წერილში: «პარტიის უშუალო მიზანი ეროვნულ საკითხში». იგი სწერს: «მიიღო რა საბჭოთა რესპუბლიკამ საკუთარი სურვილით ფედერაციის სახე, საბჭოთა შემადგენელ ერებს აღარ შეუძლიანთ გამოიყენონ თავიანთი უფლება ჩამოშორებისა თავიანთ სურვილისდა მიხედვით.

რაც შეეხება კოლონიებს, რომელნიც იმყოფებიან ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და იაპონიის ყმებათ, როგორც მაგალითად არაბეთი, მესოპოტამია, ოსმალეთი, ინდოეთი და ანტანტის სხვა კოლონიები, აქ ერთა სრული თვითჩამოშორების უფლება ჩვენი რევოლიუციონური ბრძოლის ლოზუნგი უნდა იყოს (ყიჟინა) და ჩვენ რომ ამაზე ხელი ავიღოთ, გამოვიდოდა ჩვენ ანტანტის სასარგებლოთ ვიმოქმედოთ».

(დასასრული იქნება)

ვანო ნანუაშვილი.

პ ა ს უ ხ ი,

საანკეტო ფორმულზე «სამშობლოს ხმის» რედაქციას.

მივიღე თქვენი საანკეტო ფორცელი, გვთხოვთ გავსცეთ პასუხი ზოგიერთ კითხვებს. გისურვებთ თსოვნას.

1) მეკითხებით რა წარმოდგენის ვართ თქვენს ქურნალზე.
პ ა ს უ ხ ი:

დღიდან თქვენი ქურნალის დაარსებისა, თქვენ მიზნათ დაისახეთ ქართული ემიგრაციის გაბახება. გაწბილება. ქართველი პატრიოტები, რომლებიც ეწვევიან პატიოსან და მძიმე შრომას, თქვენ მონათლეთ კაპიტალისტების მოსყიდულებათ და ჯაშუშებათ. იცოდით ეს სიყალბე იყო, მაინც ჩაიძინეთ. თქვენ დამოკიდებული ხართ თქვენს ბატონებზე, რომელთა თავი, კუჭი და გონება მოსკოვის ემორჩილება. მაშასადამე თქვენ არ ხართ პრესა თავისუფალი—სიმაართლისა და სამართლიანობის დამცველი...

2) რადგან პოლიტიკური ემიგრაციის სიმაგრე, ვერ შეარჩია თქვენმა ბატონებმა, ტაქტიკა გამოსცვალებს. გარს უფლიან ემიგრაციის მოღვაწეობას, რათა მოსკონ ბრძოლა—საქართველოს უფლებების დასაცავათ უცხოეთში, ე.წ. «კულტურულ რელსებზე» გადაყვანით თანდათანობით ჩაკლან ხმა პროტესტისა.—საქართველოს დამპყრობელების მიმართ...

თუ თქვენ მართლა სურვილი გაქვთ—სულიერი საზრდო მიაწოდოთ უცხოეთში მყოფ ქართველობას.—თქვენი ქურნალით, რომ უხვად გვავსებთ და არ გვაკლებთ,—ვინ გიშლით ხელს გამოგზავნოთ ჩვენი მწერლების და მეცნიერების ნაწარმოები? და თუ თქვენ მართლა მოსურნე ხართ კულტურული კავშირის—მიიღეთ ჩვენი ნაწარმოები, გაავრცელეთ ჩვენი ქურნალ-გაზეთები, წიგნები—მოისმინეთ და გააგებოთ ქართველ ხალხს ჩვენი აზრიც—რისი გეშინიათ? თქვენ ხომ ეღიერი ბრძანდებით,—თქვენ ხომ თითქოს მთელი ხალხი მხარს გიჭერთ!.. ამას ვერ იხამთ? მაშ კავშირია—ცალმხრივი. თქვენ გსურთ სწეროთ—ჩვენ უნდა ვიკითხოთ. თქვენს აზრებს ვეზიაროთ, თქვენი იდეოლოგიის ქვეშ მოვექცეთ. შეიძლება—რა იმე კავშირზე ლაპარაკი,—როცა ქართველს—ქართველთან დალაპარაკების უფლებას არ აძლევთ?..

3) ჩვენ ღირსეულათ ვაფასებთ ჩვენი მწერლობის, პოეტების, მეცნიერების შრომას ქართული კულტურის სახსახურში.—ეს თქვენ ხართ, თქვენი «სოციალისტური რეჟიმის»,—მეთოდით—წინ ელობებით და გასაქანს არ აძლევთ ჩვენს მწერლობას, რამდენი ნიჭი ჩაკვალით, რამდენს კვალნი ხელიდგან გააგდებოთ...

კიდევ მეტი, მოსკოვის კოლონიალური პოლიტიკაა რ.მ. ემუქრება ჩვენი ქვეყნის მომავალს.

რ ო გ ო რ? თქვენ ისე ხართ დაბრმავებული ბატონების

სამსახურში, რომ ვერც კი ამჩნევთ. თუ როგორ ხდება ჩვენი ერის დენაციონალიზაცია!.. ახალგაზრდებიდან იცვლება სოფლები, რადგან მათ არ იზიდავს კოლხობური, მონური, ცხოვრება. მიდის ქალაქში—ღებულობს უმაღლეს განათლებას, შემდეგ იგი იძულებულია წავიდეს რუსეთში—სამსახურის საქმენელად... იქ სახლებიან, ცოლშვილდებიან. მათ ადგილზე საქართველოში მოდის და სახლდება რუსობა... ამით იქმნება ორ ეროვნებათა შორის შუღლი, მტრობა. მოსკოვს დასახული აქვს—ეროვნებათა აღრევით, ათქვეფით ერთი საბჭოთა ერის შექმნა...

4) გვეკითხებით რა არის ჩვენი სურვილი?

პასუხი: ჩვენი სურვილია, —რუსეთმა მოაწყოს თავისი ცხოვრება საქუთარ ტერიტორიაზე, —ამისთვის მას არც მიწა აკლია და არც წყალი; არც ბუნებრივი სიმდიდრე. თუ საქართველოდან რაიმე დასჭირდება, მას შეუძლია იგი ნორმალურ—სახელმწიფოებრივ ურთიერთობის ხიდაგზე მიიღოს. ჩვენი მიზანი სრულებით არაა. რუსის ხალხთან გვეჭონდეს ცუდი განწყობილება, მაგრამ მან ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიყვანოს ჩვენი ქვეყნიდან და ხელი აიღოს მის მფლობელობაზე. სამწუხაროთ რუსეთის მართველობას იმპერიალისტური მადა მიაქანებს ახალ-ახალ ტერიტორიების დასაპყრობად. სტალინმა რამოდენიმეთ განახორციელა პეტრე დიდის პროგრამა, ხრუშჩოვი ცდილობს ის განამტკიცოს და გააძლიეროს...

5) გვეკითხებით—რა არის ჩვენი მისწრაფება?

პასუხი: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც საბჭოთა მთავრობამაც იცნო, შემდეგ ომის გამო-უცხადებლათ თვ დაესხა და დაიპყრო. როცა რუსის ჯარები შემოვიდა მას ორ დახვედრია არც ერთი უჯრედი კომპარტიის ორმოც წელზე მეტია, რაც ჩვენ ვამხედთ კაცობრიობის წინაშე თქვენ კი აყალბებთ, სიმართლეს ხალხს უმაღლეს და ეუბნებით, —რომ საქართველოს მთავრობას—აუჯანყდნენ გლეხები და მუშებიო. დასახმარებლად მოიწვიეს წითელი ჯარებიო!.. ალბად თქვენ ფიქრობთ ჩვენი ერი იმდენათ ჩლუნგია გონებრივად და მეხსიერება დაკარგული. რომ მას აღარ ახსოვს ერის გუშინდელი ტრადიცია. ამაზე შეგვიძლია თქვენივე პოეტის სიტყვებით გიპასუხოთ:

«ჩვენ გვეჭონდა ოდა პაპისეული,
ის დაანგრეის სხვა ააშენეს.—
მაგრამ ის ოდა დაუნგრეველი
და მოგიზგიზე მისი ბუხარი
ჩემს გულში ეხლა ისევ ანთია.»

ჯალათებმა სტალინ-ბერიამ გაქლიტეს—ქართველი ერის ერთი ნაწილი, ეხლა თქვენ გსურთ მიიწვიოთ თავისუფლების იდეის მატარებელი, —უცხოეთში მყოფი ქართველობა და მათ საჟღავნებზე ამღეროთ ქართველი ერის «გაბედნიერება»..

30276

რა არის მაინც ჯამი მოსკოვის მოხელეთა მოღვაწეობის საქართველოში?—უკონომიკა მოსკოვზე დამორჩილებული და მისგან დამოკიდებული, ქვეყანა უცხოელებით გავსებული, ჩვენი ახალგაზრდობა—რუსეთში გადაყრილი. გლენობა მიწაზე მიკრული და საკუთარ ინიციატივას მოკლებული, მწერლობა შებორკილი, და რაც უმთავრესია საქართველოს ეროვნული სახეობა ერთა ოჯახიდგან გამოირიცხული.

თქვენ გაინტერესებდათ ჩემი აზრი. აი მოკლეთ, ღიად, აშკარად და თავაზიანათ...

~~მწიბრის ვიქტორ ბიუკოს სიტყვებს, რომელიც განმარტებულია~~
~~რომ სამშობლოდაც~~

თითველი ქართველი პატრიოტი, მოშორებული სამშობლოს,—მისი ნახვის მონატრული—რჩება გულმოკლული სამშობლოს გარეთ,—იმ რწმენით, რომ იგი ემსახურება სამშობლოს თავისუფლებას.

რადგან თქვენ ასე გსურთ ჩვენთან კავშირი, იმედია ამ ჩემს წერილს უკლებლათ გადაბეჭდავთ «სამშობლოს ხმა»-ში...

«სამშობლოს ხმის» მკითხველი

პლატონ ლექავა.

ი მ ე დ ი ღ ა რ უ მ ე ნ ა

(ავვისტოხ გამოც)

«შენ ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა.»

უამსა განსაცდელისა, ერის მძიმე—მწვავე სატკივართა ფონზე, ყოფილა, არის და იქნება გულგატეხილი, ხელჩაქნეული, სულწასული, მოუთმენელი, ქედმოხრილი, გაბატონებულის წინაშე მუცლით მხოხავი—კალ მოსანიც, წარჩინებულიც, დიდიც და პატარაც... მაგრამ ამავე დროს ხალხის გულის სიღრმიდგან სიტყვა კახმულად წარსული იმედის ნაპერწკლები. ვითარცა ცეცხლის ალი მოსდებია. გაფანტულა და კვლავ წყურვილი და სურვილი თავისუფლების მოპოებისა გაზრდილა და ახვირთებულა... განა ქართველი ერის წამებათა საუკუნეებში, ჩამქრალა გამკლავება ქართველთა ოჯახის, ადათ-წესების სარწმუნოების გადასარჩენათ?. თუ პირიქით, ტანჯვა-წამებას კიდევ უფრო გაუკაყებია,—მისწრადება. საშუალებათა ძებნა უცხო მონობისგან თავის დასაღწევად...

სანამდის მეცნიერთა და მკვლევართა კალამი შეეხებოდა შოთას ბრძნულ სიტყვებს: «ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა»... ხალხმა იგი შეითვისა, შეიფერა ჩაწვდა მისი მნიშვნელობის სიღრმეში, ააფრიალა დროშა იმედის და ყოველ მწუხრის დღეებში მას იმეორებს განუწყვეტლივ—შეუჩერებლად.

დიახ, ჩვენი ხალხი იმედით ცხოვრობს. ამით შესძლო მან გადაელახა უდიდესი ტანჯვა-წვალებანი, არა ერთჯერ ისტორიის აბოზოქრებულ ზვირთებში თავისი პატარა ნავი გამარჯვებისა ნაპირზე მიიყვანა... იმედია—რომ აზრს სუედს, გონებას ამაგრებს, ფიქრებს, რომ წარმოშობს. მოძრაობის ფრთებს შლის—გასალკდევებულ ნებისყოფით მიექანება ერთხელ დასახულ მიზნისკენ...

იმედს ხალხი ადარებს კირით ნაგებ კოშკს, მრისხანე ქარიშხალი რომ ვერ არყევს, მტრისგან ნასროლი ტყვია ამოდ რომ ასკდება—და ამაყად სდგას თავის ადგილზე. იმედს იგი ადარებს წმინდა ვარსკვლავიან ცას და დილით მზის სხივებს:

«ცა წმინდა ვარსკვლავიანო,
მზე დაფენილო დილითა.»

აქედან ცხადია იმედი ხალხისთვის უდიდესი საგანძურია, მისი ერთგული თანამგზავრია, მის ყოველდღიურ ქმედობას დინამიურობას აძლევს, უიმისოთ მისი საქმიანობა ფრთაშეკვეცილია და განწირულია. მისთვის იმედი უკვდავების წყაროა, ოქროს მილით ნაყდენია, ურომლისოთ მას ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. აბა მოუსმინოთ:

«უკვდავებისა წყაროვო
ნაყდენო ოქროს მილითა,
შენთამაც ყოფნით გამძღო,
შენთამაც წოლა დილითა.»

იმედი სიკოცხლის მშვენიერი ძალაა, უხილავი გულის სიღრმეში ჩამალული, გრძნობისა და გონების შემაერთებელი, მათი მოძრაობაში მომყვანი. უიმედო მებრძოლი, წინასწარ დამარცხებულია. ჯარი იმედგაცრუებული—მისი ბრძოლა წაგებულია. ხოლო ამ იმედს ასაზრდოებს რწმენა სიმართლისთვის თავდასადებად, უსამართლოების სჯოლად დასათრგუნავათ. იმედი და რწმენა ჩვენი ხალხის გულში შედუღებული—დღესაც მიუძღვის მას გაშლილი დროშით, წარსულის გამოცდილებით, აწმყოს შეგნებით, მომავალში თავისუფლების აღსადგენათ. მან კარგად იცის, რომ თუ ეს ადამიანიური საგანძურები დაჰკარგა,—იგი დაეშვება, სულიერად დაბეჩავდება. დაკნინდება, სამუდამოთ სხვის საწევად ფურათ გახდება. მუდამ მონობის უღელში დარჩება... ამიტომაც არის, რომ ამა თუ იმ ეპოქის ეროვნულ ტრადიციის დროს, ხალხი ქმნის ლეგენდებს, თქმულებებს, ანეგდოტებს, სარკასტულ სიმღერას, ამხელს და ამქლავნებს ხალხის მწარე სულისკვეთებას, აქებს და ადიდებს გმირულ თავგანწირვებს—მოასვენს იმედის სამოსელით. რწმენის ვარსკვლავით—რათა მომავალ თაობას უანდერძოს...

გაივლის დრო და აწ საქართველოს წამების ისტორიაში—ავვისტოს გმირების საამაყო ე ავგანწირვას. გადაიტანს ხალხი თავის ოცნების მორევში, ფრთას შეაახამს კოტე აფხა-

ზის და 14 მამულიშვილთა მიერ სიკვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვებს; ჯალათების წინაშე. უცხოეთიდან სამშობლოს მიწა წყლის დასახსნელათ—ნოე ხომერეიკის და მის მეგობრების გამოჩენას და მათ მოწამებრივ სიკვდილს. ოთხ კედელში გამომწყვდეულ ვალიკო ჯუღელის ლომისამებრ შებრძოლებას, ცხრა მთას იქით, უცხოეთის ცივ მიწაში ჩაწოლილ გმირულ ბრძოლების მეთაურს და ვაჟკაცურ მშვენებას ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავს,—და მათი სახით ათი ათასობით მტრის ტყვიისგან განგმირულთა ხსოვნას—ხალხი გულით შეამკობს მომავალი გამარჯვების და რწმენის შარავანდედით, რათა მაგალითი თავდადებისა გადაეცეს მომავალ თაობას. ქართველი ხალხის გულია, რწმენითა და იმედით რომ სდარაჯობს ვითარცა ჩაუქრობელი ლამპარი—პატარა კულტუროსან ერის აწმყოსა და მომავალს.

პ. ხარჯველაძე.


კ ი ტ ა ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი.

კიტა ჩხენკელი ერთი საუკეთესო წარმომადგენელია იმ თაობის, რომელმაც თავისი ცხოვრება საქართველოს სამსახურში განვლო.

მთელი თავის არსებით, ნიჭით, ცოდნით, ენერგიით მან შესძლო კვალი დაეჩინა, თავისი წვლილი შეეტანა ქართული მეცნიერების საღაროში. მისი სურვილი, მისწრაფება იყო შეეცნო უცხოეთისთვის მდიდარი ქართული ენა მისი იტერატურა, მისი კულტურა, ამხრივ მისგან მიღებული ნაყოფი უსათუოდ დიდია და მისი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე უკვდავი დარჩება.

კიტა ჩხენკელი დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობამ გამოავახუნა უცხოეთში,—სწავლის გასაგრძელებლად ერთი წლის შემდეგ მისი სამშობლო დაპყრობილა იქნა, ის დარჩა ყოველგვარ საარსებო წყაროს მოკლებული და იძულებული ხდება, შავ მუშად იმუშაოს ჰამბურგის მაღაროებში, თუ ჰამბურგის ნავთსადგურში. მძიმე შრომის დროს მას კონტაქტი უნივერსიტეტთან არ შეუწყვეტია,—აგრძელებდა ენის დარგში მუშაობას. როგორც იყო მძიმე ფიზიკურ მუშაობას თავს ანებებს და აძლევს კერძო გაკვეთილებს.—ჰამბურგის უნივერსიტეტში მას იწვევენ კვირაში ორჯერ ქართული გაკვეთილების მისაცემათ. კიტა ახერხებს სწავლის გაგრძელებას და ლებულობს დოქტორის ხარისხს (მისი თემა: «ავრარული საკითხი საქართველოში»).

1936 წელს დაულალავი შრომით მან შესძლო გამოეცა ქართული ენის სახელმძღვანელო—ყველა უცხოელებისთვის ხელმისაწვდომი. სურდა გამოეცა გერმანულ-ქართული ლექსიკონი, 5 წლის შრომის შემდეგ ყველაფერი მზად იყო, რომ



კობა ხხენკელი.

მოხდა ჰამბურგის დაბომბვა და განადგურებულიქნა მისი
 შრომა და მისი მდიდარი ბიბლიოთეკა. იგი იძულებულია
 თავი შეაფაროს შვეიცარიას. აძლევს კერძო გაკვეთილებს.
 გულს არ იტეხს, იარაღს არ ყრის და ოცნებობს, რათა შეს-
 ძლოს კვლავ სამეცნიერო დარგში მუშაობა, უკეთ ის შეუმ-
 ჩნველად ენერგიულად ეწევა შრომას და ახერხებს ნაცნობ
 პროფესორის გულუხვი დახმარებით გამოსცეს თავისი შრო-
 მა 1958 წელს.

მან შექმნა გამომცემლობა «ამირანი» და შემოიკრიბა
 თავის გარშემო თავდადებულნი და ქართული ენით დაინტე-

რესებული თანამშრომლები და შესძლო გამოეცა თავისი ნაშრომები. 1960 წლიდან ის მიწვეულ იქნა ციურისის უნივერსიტეტში ქართული გაკვეთილებისთვის.—აგრეთვე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში კვირაში რამოდენიმეჯერ.

კიტას მეცნიერულმა შრომამ უდიდესი ყურადღება მიიპყრეს მეცნიერულ წრეების. 1961 წელს ციურისის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა უდიდესი ჯილდო; დოქტორისა «პონორის კოხა».

გასული წლის ოქტომბრის რიცხვებში—შეწყდა ამ ჩემი, უანგარო, თავდადებულ მეცნიერების მუშაკის გულის ცემა. მას არ დასცალდა გაეგრძელებია თავისი საყვარელი საქმე... მისმა უცაბედათ განშორებამ მთელი ქართველობის გული დასერა, დაანადვლიანა.

გაგვშორდა კიტა და წაიღო ჩვენი პატივისცემა და სიყვარული...

მის დასაფლავებას ქ. ციურისში დაესწრენ ქართული სათვისტომოს დელეგაციები—საფრანგეთიდან და გერმანიიდან. საეკლესიო წესის აღსასრულებლად ჩამოვიდა პარიზიდან ქართული ეკლესიის დეკანოზი მამა—ილია.

14 საათზე ციურისის სასაფლაოზე მიცვალებულთა დარბაზში შეგროვდა დიდი საზოგადოება. მათ შორის შვეიცარიის სტუდენტთა კავშირის დელეგაცია დროშით.

უნივერსიტეტისა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის პროფესორთა კოლეგიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა ერანტ რიშმა, რომელმაც თავის სიტყვა ასე დააბოლოვა: «ჩვენ დავკარგეთ დიდი მკვლევარი და მეცნიერი და განსაკუთრებით კარგი მეგობარი. მის ხსენას ჩვენ მუდამ პატივით შეაინახავთ».

ქართველების სახელით სიტყვა წარმოსთქვა გერმანულენაზე—ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარემ გერმანიაში ბ-ნ ნიკო ნაკაშიძემ—რომელმაც მოიგონა შვეიცარიის და მისი მოღვაწეების უდიდესი დახმარება ქართველი ერის მიმართ. დიდი მადლობა გადაუხადა შვეიცარიის ერს ქართველების სახელით. მადლობა გადაუხადა მის თანამშრომლებს და დასძინა, განსვენებულმა არა მარტო მეცნიერული მუშაობით გაუწია დიდი სამსახური თავის ერს, არამედ რაც ძვირფასია ბევრი მეგობრები შეგვიძინაო.

სტუმართ-მოყვარე შვეიცარიამ მიიბარა დროებით—საქართველოს ერთგული შვილი, ქართული კულტურის, მეცნიერების დაუღალავი მუშაკი.

მოვა დრო და თავისუფალი საქართველო კვლავ მოიხსენებს მის სახელს.

ვ ლ ა ს ა მ გ ე ლ ა ძ ე .

1944 წელს თებერვალში საქართველოს სოციალდემოკრ. მუშათა პარტიამ დაკარგა მისი საამაყო წევრი, დიდი ქართველი, ამხანაგი ვლასა მგელაძე.

ამხ. ვლასა ლევილის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს. ეს ის სასაფლაოა სადაც სამუდამოთ სძინავთ საქართველოს იმ სახელოვან შვილთ, და ერთგულ მათ ჯარისკაცთ, რომლებმაც დასწერეს ჩვენი ერის ისტორიის საამაყო ფურცელი, ატარეს ქართველი ხალხი ბრწყინვალე თავისუფლების გზაზე, და მოგვცეს ჩვენი ერის ზეადვლელის მანათობელი ვარსკვლავი დიდი 26 მაისი.

ამხანაგ ვლასამაც ამ ჩვენი სამშობლოს მალმერთებელმა, მასზე შეყვარებულმა, მისთვის მებრძოლმა, დამპყრობელთა გამო სამუდამოთ თავის ძელები უცხო მიწაში ჩააწყო.

20 წელი გვაშორებს ვლასას. ამ დღის აღსანიშნავათ პარტიამ გამოყო სპეციალური კომისია, ამხ. ვალ. ჩუბინიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც პარიზში ამა წლის 16 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე, პოლონელების სახლში მოუწყო მას სამოქალაქო პანაშვიდი.

დარბაზში საპატიო ადგილზე მოთავსებული იყო ამხ. ვლასას სურათი, რომელსაც ცოცხალი ყვავილები ამკობდა, ვლასას საყვარელი ყვავილები. განსვენებულის საპატივცემოთ მოვიდა დიდძალი ქართველი საზოგადოება,

სამგლოვიარო კრება გახსნა თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჩუბინიძემ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ვლასას ხსოვნას, შესრულებული იქნა ქართული ჰიმნი დიდება.

თავმჯდომარემ თავის მოკლე და მგრძნობიარე სიტყვაში დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო თავისი მოგონებები განსვენებულ ამხანაგზე, რის შემდეგ სიტყვები მისცა ორატორებს. სიტყვები წარმოსთქვეს: ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარე ბატონ ლევან ზურაბიშვილმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბ-ნ ელისე პატარიძემ, ამხ. კალე ქავთარაძემ, ამხ. პავლე სარჯველაძემ, სოც.-დემდრალისტებრს სახელით ბ-ნ ნიკოლოზ ურუშაძემ წაიკითხა ბ-ნ ალექსანდრე შათირიშვილის წერილი მოგონება, ამხ. ვასო ლაბაძემ, ამხ. შალვა აბდუშელიშვილმა, პოეტ გიორგი ყიფიანმა მოგვითხრო მისი შთაბეჭდილებები ამხ. ვლასაზე და შემდეგ დიდი განცდით წაიკითხა განსვენებულის ლექსი.

ყველა ორატორებმა დიდი გრძნობებით და სიყვარულით დაახასიათეს ვლასა მგელაძე, როგორც პიროვნება, მებრძო-

ლი, დიდი პატრიოტი, პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი, მწერალი პოეტი და შემომქმედი.

მომწყობ კომისიამ მიიღო აგრეთვე წერილობითი მოგონებები მრავალ ჩვენ თანამემამულეებისაგან, რომელთაგვარი და სახელი ემცნო დამსწრე საზოგადოებას. ყენევიდან ამხ. ხარიჯონ შავიშვილი, მიუნხენის სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი ნიკო ნაკაშიძე, არგენტინიდან ქ-ნ თამარ და ბ-ნ აკაკი პაპავეები, ნიუიორკიიდან ბ-ნ კიორგი ნაკაშიძე, სოჭოს სათვისტომოს თავმჯდომარე ამხ. იასონ შავდია, ლიონის სოც.-დემ. პარ. სახელითამხ. კოსტა გუნია, სოჭოს სოც.-დემ. პარტიის სახელით ამხ. ილიკო სალუქვაძე, ისპანიიდან დეკანოზ რაფიელ ინგილო, ლევილიდან: ამხ. ინა ყორდანია დარაქდენ არსენიძე, პარიზიდან ამხ. ჰიქიკო ასათიანი.

ჩვენი სახელოვანი პროფესორი ბ-ნ მიხეილ წერეთელი მძიმე ავადმყოფი, მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ამ ხანათ ვერ გზავნის მოგონებას მის საყვარელ თანამებრძოლ დიდ ვლასაზე, და მხოლოდ ცრემლებით დასტირის მის ხსოვნას და იხიარებს ქართველთა მწუხარებას.

კომისიის დადგენილება ეს მოგონებები გამოსცეს ცალკე წიგნათ.

დასასრულ დამსწრე საზოგადოებამ დიდი აღტაცებით სამარისებურ სიჩუმეში მოისმინა ამხ. ვლასას სიტყვა (დირფიტაზე გადაღებული) 26 მაისზე და მისი ლექსი განსვენებულ საქართველოს პრეზიდენტ ნოე ყორდანიანზე.

ვლასას მგრძნებარე, ამაღლევებელ სიტყვამ და იშვიათი გრძობით წაკითხულ მისმა ლექსმა ქართველი ერის დიდ ბელადზე ღრმა ამაღლევებელი და წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

თავმჯდომარემ უღრმესი მადლობა გამოუცხადა როგორც ორატორებს ისე დამსწრეთ.

ჩვენ, ბედშავი ქართველი ემიგრანტები ვფიქრობთ, რომ ეს დღე მთელ საქართველოს, ჩვენ დედაქალაქ თბილისის უნივერსიტეტს უნდა გადაეხადა, რომლის გახსნაზე ამხ. ვლასამ დაუვიწყარი ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა. ამხ. ვლასას საფლავი თავისუფალ, ბედნიერ ქართველობას ქართული ყვავილებით უნდა შეემკო.

ვიდქით პარიზის ქუჩაზე მოწყენილი, დიდხანს, კიდევ დიდხანს, ერთმანეთის დაშორება არ გვსურდა.

უიღბლო ხარ ჩვენო ლამაზო სამშობლო, უიღბლო? არა, მომავალი შენია. ჩვენთან ერთათ, თუ უჩვენოთ, შენ თავისუფალი იქნები, და მაშინ, მხოლოდ მაშინ სიყვარულით ჩაიკრავ შენს კურთხეულ გულმკერდზე, შენთვის მებრძოლ განაწამებ და დაღუპულ შენს შვილებს.

დამსწრე.

ა კ ა კ ი ვ ა ვ ა ვ ა .

ავვისტოს პირველ რიცხვებში საფრანგეთში მყოფმა ქართველებმა მიიღეს ფრიად სამწუხარო ცნობა: არგენტინაში 29 ივლისს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ყოფილი მთავრობის წარმომადგენელი აკაკი პაპავა.

აკაკი დაიბადა ქ. სამტრედიაში 1890 წელს; ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შემდეგ იგი შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც იგი 1913 წელს სწავლას ამთავრებს.

ნიკიერი და ენერგიული ახალგაზრდა იმ თავითვე ებმევა ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; სწერს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: «სახალხო ფურცელი», «კოლხიდა», «თეატრი და ცხოვრება», «თემი», «ცისარტყელა», «გრდემლი» და სხვა.

1917 წლის რევოლუციამ მას სამხედრო სამსახურში მოუხწოა კავკასიის ფრონტზე, სადაც იგი არჩეული იყო კავკასიის ჯარისკაცთა საბჭოს წევრად.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პირველ თავისუფალ ყრილობაზე აკაკი აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

აკაკიმ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის და თბილისის ქალაქის საბჭოს მუშაობაში, რომელთა წევრათ ის იყო არჩეული.

ემიგრაციაში მან დაამთავრა ჰამბურგის უნივერსიტეტი დოქტორის ხარისხით; სწერდა ქართულ პრესაში, აწარმოებდა ფართე პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოთ.

აკაკი პაპავა იყო ნამდვილი მირონცხებუი მწერალი, სიტყვის უდაო ხელოვანი; აზრის უებრო გამომთქმელი.

წიგნი, ქალაღი, კალამი და მელანი მისი მიუცილებელი იარაღები იყვენ, ურომლისოდაც მას თვისი ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა.

სწორედ ამიტომ მისი უდიდესი ტანჯვა სამშობლოდან მოწყვეტით განცდილი იყო შედეგი იმის, რომ აკაკი დაშორდა ქართველ მწერალთა წრეს, საქართველოში წარმოებულ კულტურულ-საზოგადოებრივ მუშაობის უშუალო მონაწილეობას, ქართულ სტამბებს და ქართულ ხელნაწერთა საცავებს.

აკაკი საქართველოდან შორს მყოფი, საქართველოსთან მუდმივ სულიერ კავშირში იყო: მისი სამწერლო და საზოგადო ასპარეზის მეგობრები არ შორდებოდენ მის მეხსიერებას

და მის ფიქრებს; იგი მოწიწებით შეძლებისამებრ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს მათ ცხოვრებას და მათ მოღვაწეობას.

ამ ძლიერი მეგობრული გრძნობებით იგი ამქლავნებდა თავის სიყვარულს ქართული კულტურის მიმართ.

მან იცოდა, რომ საქართველოში დატოვებული მისი მეგობრები თავიანთ მხრებზე ზიდავდნენ ქართული კულტურის გაზრდის და გაღრმავების მთელს სიმძიმეს; რომ ისინი და მხოლოდ ისინი ზრუნავდნენ ქართული კულტურის კერაზე ღვთიური ცეცხლის კვებისა და შენახვისათვის; რომ ისინი ქართული მწერლობის ძველ, კეთილშობილ ტრადიციებს ინახავდნენ და მათ იქაურ ახალგაზრდა თაობას სახელმძღვანელოთ გადასცემდნენ და ამრიგად ქართული კულტურის უწყვეტობისთვის იღწევდნენ.

სწორედ ამიტომ აკაკი ზოგჯერ თვალებსაც ხუჭავდა თავისი ძველი მეგობრების მისთვის არ მოსაწონ თქმულის და ნამოქმედარის წინაშე.

აკაკის სურდა მათში და ყველა სხვა ქართველებში მხოლოდ ხალასი სიწმინდე დაენახა, რომ მათი სახით საქართველო ისე წარმოედგინა, როგორც იგი მის გონებაში იყო: მიმზიდველი, ღირსეული და ღირებული.

საქართველოში უკვე კარგად ცნობილი და კარგად დაფასებული მწერალი, უცხოეთშიაც მწერლობას მისდევდა: ისტორიულ კვლევა-ძიებას აწარმოებდა, ლექსებს და პოეტიკურ წერილებს სწერდა; ეს მოღვაწეობაც მისი ღრმა სურვილიდან გამომდინარე: საქართველოსთან მუდმივ კავშირში ყოფილიყო და მასთან გადაბმული ძაფები არ გაეწყვიტა.

ყოველივე, რასაც აკაკი აკეთებდა, რასაც სწერდა და რასაც ამბობდა გამთბარი იყო საქართველოს სიყვარულით და მისი სიახლოვის გრძნობით.

ფიზიკურად საქართველოდან მოწყვეტილი, იგი მის სიახლოვეს სულიერად განიცდიდა.

იგი გრძნობდა ყოველივე ამას დიდი სიძლიერით, რადგანაც მისი ნაღვაწი საქართველოში ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

მისმა პრაქტიკულმა მუშაობამ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, საქართველოს პარლამენტში და თბილისის ქალაქის საბჭოში დიდი კვალი დასტოვა მის სულიერ სამყაროში.

კიდევ უფრო დიდი იყო მისი სამწერლო მოღვაწეობა; მისი «ფიქრები სამშობლოს ლიტერატურაზე», «ბარათები ხელოვნებაზე», «გამყვირვალე ფირფიტები», «რეალები» ქართულ და უცხო მწერლობა-ხელოვნებას არკვევდნენ, მისი ნოველები, მინიატურები, მისი «მკრთალ სხივთა ძნა», «სოლეილ დორ», «ნახშირის ხაზები» საქართველოს ბელეტრისტიკას ამდიდრებდნენ.

აკაკი მეტად ნასიამოვნები იყო, როცა მან საქართველოს სამეცნიერო აკადემიის «კრებულში» მისი «ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე»-დან («ერი» 1913 წ.) ამოღებული ლიტერატურულ-კრიტიკული მოსაზრებების განხილვა წაიკითხა; ეს ამბავი, თავისთავად, ერთ-ერთი საბუთი იყო იმის, რომ აკაკი პაპავას წარსული, შორეული დროის ამბები ღირებულნი, მზუნვე გამოტანის ღირსი იყვენ; აკაკის, როგორც ყოველმწერალს, სიამოვნებდა 1913 წელში დაწერილის გადაკითხვა და, განსაკუთრებით, ამ ნაწერში ისეთი რამეების ამოკითხვა, რასაც იგი დღესაც, ნახევარი საუკუნის შემდეგაც, სრულიად მისაღებათ და ქუშმარიტებად ხედავდა.

აკაკი გრძობდა თავისი აღსასრულის მოახლოვებას; იგი გრძობდა, რომ ეს ძალიან შორეული აღარ იყო; მიუხედავად ამისა მას კალამი ხელიდან ჭრუ გავუდია; იგი მან კიდევაც უფრო გააბასრა და მეტი მჭერმეტყველობით ამეტყველა.

იგი ანტიკური ბრძენივით ურიგდებოდა თავის სიკვდილს, მას გარდაუვალად სთვლიდა; ხოლო თავის სამშობლოს დაშორებას არ იღებდა.

მას სწამდა, რომ მისი საყვარელი სამშობლოსადმი დასთურგნავდა თვით უძლეველ სიკვდილსაც.

მას სწამდა, რომ ის, რაც მის პიროვნებაში უკეთესი იყო, საქართველოსთან დარჩებოდა, მარად მის მშობლიურ წიაღში იმეტყველებდა:

ვერა, ვერ ვნახავ ახალ გაზაფხულს,
გამიდის ყველი, განცხრომა, შვება,
და ოცნებები, რაც მქონდა წარსულს,
ჩაიფერფლებს, ცეცხლში დაშვრება...
ამ შემოდგომას მოდევს ხამთარი.
სიცოცხლის დისკოც იქ გადიხრება...
ოხ, რა მძიმეა ნოემბრის ქარი,
როცა ჩემი მზე ჩადის და ქრება...
მაგრამ სადღაც შორს, ციურ ნაპერწკალს
მაინც გააჩენს არსი დამწვარი,
და იგივე ქარი გაანდობს მერცხალს.
რომ ჩემი გული არ არის მკვდარი.
და ის მერცხალიც ყოველ გაზაფხულს
გადაუქროლებს ჩემს მშობელ მხარეს,
ჭიკჭიკით უმღერს ამ ძველ სიყვარულს,
— ივერიაზე სევდებსა მწარეს.
ეტყვის, რომ მოხვდა მას ნაპერწკალი,
ლტოლვილი მგოსნის დამწვარ გულისა,
მით უკვდავების შესვა მან წყალი
და აწ არ სჯერა აღსასრულისა...

(აკ. პაპავას ლექსთა კრებულიდან «1500 წლოვან თბილისს»
გვერდი 102).

ალ. შათირიშვილი.

პ ა რ ო ზ ი.

ქართული ემიგრაცია 26 მაისს—გაერთიანებული, ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით—ყოველ წელს დღესასწაულებს საქართველოს ერის ეროვნულს თავისუფლების ბრწყინვალე დღეს. მტერს ჩვენს ოჯახში შემოჭრილს, სურს დაავიწყოს ქართველ ხალხს ეს ისტორიული დღე, სურს აღმოგებრას 26 მაისის მიერ მის გულში ჩაქედილი თავისუფლების სიყვარული. მაგრამ იგი მიზანს ვერ აღწევს, თაობიდან-თაობას გადმოეცა წმინდა იდეალი დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის, მოტაცებული თავისუფლების დაბრუნებისა. ვის შეუძლია დღეს დაეუკდეს 26 მაისის დროის გამარჯვებაში, როცა დღეს აღარ დარჩენილა არცერთი ერი, რომ დამოუკი. დებლობა არ მიეღოს, გარდა საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ ერებისა,—ამ იმპერიის დეკლონიზაცია დღიურ წესრიგში სდგას...

დღეს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია—გაერთიანებულია ერთი მიზნით—ერთი მოქმედებით—ერთი მიმართულებით. ესაა უდიდესი მიღწევა—რათა უცხოეთში ნაყოფიერად იქნა წარმოებული ქართული საქმის წარმოება.

ამ ერთსულოვანი მისწრაფებით, ერთობის სრული გამოქვავებით იქნა ჩატარებული წელს ეროვნული დღესასწაული ყველგან—უცხოეთში, სადაც კი არსებობს ქართული სათვისტომოები.

ცხადია, პარიზში სადაც თავმოყრილია თავისუფალ ქართველთა უმრავლესობა 26 მაისის დღესასწაულმა განსაკუთრებული ფართე ხასიათი მიიღო.

მე-14 უბნის სადღესასწაულო დარბაზი მორთული იყო ქართული და ფრანგული დროშებით. სცენას ამშვენებდა ქართულ სახელმწიფოს ემბლემა—თეთრი გიორგი...

საფრანგეთის ყ. მინისტრის არ. კონტის საპატიო თავმჯდომარეობით, სადღესასწაულო სხდომას ხსნის მოკლე სილყვით სათვისტომოს თავმჯდომარე ბ ნ ი ლ. ზურაბიშვილი.

სიტყვას აძლევს ბ ნ არ. კონტს, რომელიც აღფოთოვანებული სიტყვით ესალმება ქართველობას და უსურვებს ქართველ ერს—განთავისუფლებას. ქართულად სიტყვას ამბობს ლ. ფაღავა. სიტყვით გამოდის ჩვენი მოძმე ერის ბელორუსიის სინდიკალისტთა და თავისუფალ სომეხთა წარმომადგენლები—რომლებმაც გამოსთქვეს ღრმა რწმენა—ჩაგრულთა თავისუფლებისა, რაც შესაძლებელია დაჩაგრულ ერთა საერთო მოქმედებით—ძმური კავშირის დამყარებით...

საზეიმო სხდომას სცვლის არტისტული პროგრამა, სადაც ბ-ნ შ. აბაშიძის ხელმძღვანელობით მოცეკვავე გუნდმა შეასრულეს განსაკუთრებული ხელოვნებით ქართული ცეკვები. დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა—დამა

პატარიძეების მიერ ფანდურზე დამღერებულ ქართულ სიმღერებმა.

26 მაისს დილით—ქართულ საზოგადოებამ თავი მოიყარა საქართველოს პრეზიდენტის ნ. ჟორდანიას საფლავზე.

ჩვენი ღრმა მადლობა ქართულ სათვისტომოს გამგეობას, ბ-ნ შ. აბაშიძეს და ჩვენს კარგ ახალგაზდებს და ძმას პატარიძეებს.

P. S. ამ დღის აღსანიშნავად ჩვენი ჟურნალის რედაქტორმა ანზ. პ. სარჯველაძემ გამოსცა სპეციალური ბროშურა: «როგორ იდღესასწაულა 1920 წ. თბილისმა 26 მაისი» და დაუგზავნა ქართულ სათვისტომოებს. მ. ბ.

ს ა მ ო .

ქ. სოშოში მცხოვრებ ქართველობამ აღფრთოვანებით იდღესასწაულა წელს 26 მაისი, რომლის დროსა მართალია დღეს ტყვეობაშია და აღარ ფრიალებს დედა-ქალაქში, —სახლების თავზე, მაგრამ იგი თითოეული ქართველის გულში ღრმად მარხია. მას არ აქვს საშუალება თავისი სიხარული გამოაშკარავოს, თავისი სიყვარული თავისუფლებისადმი გამოამქლავოს. უცხოეთში მყოფ ქართველობის მანიფესტაციები —ცვლის იქ სამშობლოში იძულებით სიჩუმეს და ააშკარავებს ქართველი ერის სურვილს.

ქ. სოშოს სათვისტომოს წევრებმა ამ დღეს თავი მოიყარეს საკუთარ ბინაზე. დარბაზს ამშვენებდა ნოე ჟორდანიას, შოთას, ილიას, აკაკის სურათები. საზეიმო სხდომას ხსნის სათვისტომოს თავმჯდომარე იასონ შავდია, მოუწოდებს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ ბრძოლაში დაღუპულ მამულიწვილთა ხსოვნას. თავის სიტყვაში ის გამოსთქვამს ღრმა რწმენას—ქართველი ერის განთავისუფლებას,—რადგან ეპოქის მოთხოვნილებას ვერ გაექცევა ერთადერთი საბჭოთა კოლონიალური იმპერია, რომლის დეკოლონიზაცია დღიურ წესრიგში სდგას. მაშასადამე ამ იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ერთა განთავისუფლება გარდაუვალია, მიუცილებელია. გვაქვს სრული საბუთი ვიყვეთ იმედიანთ და გვეკაოს ღრმა რწმენით ეროვნული დროშა, დავიცვათ მისი სიწმინდე.

თავმჯდომარის შემდეგ ილაპარაკეს: ს. ჭირაქაძემ, ე. აბულაძემ, ი. სალუქვაძემ. ბ-ნ ს. ჭირაქაძემ წაიკითხა «როგორ ჩატარდა 26 მაისი თბილისში». შედგენილი პ. სარჯველაძის მიერ. რამაც გამოიწვია საერთო აღფრთოვანება.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა შეგობრული სადილი, ქართულ მაგიდაზე—ლხინი, მზიარულება დამთავრდა ცეკვათამაშით—ლამის 10 საათამდე.

სადღესასწაულო დღის მოწყობისთვის უანგაროთ საქმის სიყვარულით—დიდი შრომა გასწიეს გრ. ქვარცხავამ და ვ. სალუქვაძემ.—რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან.

ილ. ბაზველი.

მ ა რ ტ ი რ ო ლ ო გ ი ა.

«ჩვ. დრ.» უკანასკნელ ნომრის შემდეგ ქართულ საზოგადოებამ დაჰკარგა რამოდენიმე მამულ იშვილი.

თუ ჩვენ სათანადო და ღირსეულ დაფასებას ცალ-ცალკე ვერ უძღვნით მათ ხსოვნას ამ ნომერში,—არა ნაკლებათ განვიციდით უდიდეს მწუხარებას მათი დაკარგვით. «ჩვენი დრ.» რედაქცია უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახებს და მეგობრებს.

გარდაიცვალენ:

არჩილ ზურაბიშვილი.

გიორგი ჟღენტაძე.

ექიმის ს. იაკობიშვილი.

გაიონ ჩხეიძე—ტრადიკულად დაღუპული.

ელენე გომართლისა.

ალე ქურციკიძე.

ნიკოლოზ ხოჯოიაძე.

გერონტი სურგულაძე.

ვახტანგ ციციშვილი.

პრ. მ. მუსხელიშვილი—ტრადიკულად დაღუპული.

მ ა ლ ო გ ა.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად, თქვენი ჟურნალის საშუალებით უღრმესი მადლობა გადაუხადო, ქართულ საზოგადოებას, მეგობრებს და ნაცნობებს, რომლებმაც წერილობით, თუ დასაფლავებაზე დასწრებით გამომიცხადეს თანაგრძნობა ჩემი მეუღლის ექიმ ს. იაკობიშვილის გარდაცვალების გამო.

უღრმესი პატივისცემით:

ანნა ელიფლამიშვილი იაკობიშვილისა.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ჟურნალ «ჩვ. დრ.» საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო, ყველა იმ პირებს, რომლებმაც ჩემი მამის დის შვილის ნიკოლოზ (ნიკო) იმნაიშვილის უღრმოდ დაღუპვის გამო ჩემი ღრმა მწუხარება გაიზიარეს და პირადად წერილობით თუ ამა წლის 26 იანვარს პარიზში წმიდა ნინოს ეკლესიაში გამართულ პანაშვიდზე დასწრებით მეტად მძიმე დანაკარგის გამო თანაგრძნობა გამოიწიეს.

დიდის პატივისცემით:

აბელოზ ორაგველიძე.

გამომცემლობა უცხოეთში.

კ ა ვ ვ ა ს ი ო ნ ი.

ბ-ნ ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით და უშუალო ხელმძღვანელობით დაიბეჭდა და გამოვიდა «კავკასიონი»-ს მე-9 ნომერი. შიგ მოთავსებულია წერილები და ლექსები მიძღვნილი პოეტ გრ. რობაქიძის ხსოვნისადმი.

შემდეგ—მოთხრობა, ლექსები, მოგონებები, მონოგრაფიები, ბიბლიოგრაფია და სხ.

უნდა მივაწეროთ ვ. ნოზაძის ბეჭდვითი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულს, უნაგარო შრომას და თავდადებას, რომ ემიგრაციის პირობებში მან შესძლო მრავალ შინაარსიანი ჟურნალის მოცემა. იმედი უნდა ვიქონიოთ—ქართული საზოგადოება თავისი წელიწადის გაღებით, კვლავ მისცემს საშუალებას ვ. ნოზაძეს,—გააგრძელოს ჟურნალის გამოცემა.

აღნიშნავთ მხოლოდ, ერთ წერილში—უცხოეთში დაღუპულ შოაზროვნის და პოეტის გრ. რობაქიძის,—ლიტერატურული შემოქმედების განხილვისა და მისი პიროვნების დაფასების დროს—სრულიად უმართებულო კრიტიკას.

ვ. გოგუაძის მოგონებანი.

პარიზი 1963

სამართლიანობის მედგარი დამცველი, გულწრფელი რევოლიუციონერი, ცნობილი მებრძოლი ვ. გოგუაძე გვაცნობს თავის პირად, ახალგაზრდობის ცხოვრებას, შემდეგ ბრძოლის ასპარეზზედ გამოსული, მის მიერ შესრულებულ მრავალ აქტებს, მართალია მოკლეთ და გაუშლელად, მაგრამ ამაღელვებელ ფაქტების ჩამოთვლით—მკითხველს იპყრობს და გადაჰყავს წარსული ბრძოლების აბობოქრებულ ტალღებში. მძვინვარე რეაქციის შემდეგ მისი გაათქეცებული, დაუდგრო მელი ენერგია უნდება დამოუკიდებელ საქართველოს დაცვას. იგი აქ აღნიშნავს საკუთარ როლს—როგორც სამშობლოს დაცვისთვის თავდადებული და მტრის მიმართ უშიშარი მებრძოლი...

დიახ უადრესად საჭირო იყო ჩვენი სახელოვან გმირის მოგონება ისტორიას არ დაჰკარგოდა, რაც მის ერთგულ თანამგზავრის ქ-ნ ნამეტის მიერ ღირსეულად შესრულებულ იქნა.

ლეონტი ქვეციის მოგონებანი.

ჩვენმა ამხ. ლ. ქლენტმა გამოსცა თავისი მოგონებანი. მასში აღსანიშნავია ზოგიერთი ეპიზოდები ჩვენი წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებიდან. ძველი პოლიტიკური მოღვაწის მოგონება დაფასების ღირსია, რადგან საბოლოო ჯამში იგი ამდიდრებს ჩვენს სახალხო მოძრაობის ისტორიას.

ქეორქ-ოლიანის ბრძოლა.

ჩვენმა ამხ. ქეორქ-ოლიანმა გამოსცა ფრანგულ ენაზე ბროშურა: «სტალინიზმი—უსტალინოთ და რუსული იმპერიალიზმის პაციფიზმი». ბროშურამ სათანადო გამოხმაურება პოვა—უსცხო პოლიტიკურ წრეებში.

უსურვებთ ჩვენს ძველს მეტრძოლ ამხ-გს კვლავ შესძლებოდეს განაგრძოს შრომა—ქართული საქმის პროპაგანდისთვის.

ხარიტონ შავიშვილის ახალი შრომა.

რუსთაველის გენიალურ შემოქმედებაზე თავის ნაშრომის შემდეგ ჩვენმა ამხ. ხარიტონ შავიშვილმა—გამოსცა მცირე შრომა—წმ. ნინოზე, რომელმაც სათანადო ინტერესი გამოიწვია მეცნიერ-მკვლევართა შორის.

ქართული საქმის პროპაგანდა.

ევროპის ერთა კავშირის დამხმარე საზოგადოების მიერ ყოველ წლიურად ხდება თავყრილობა, რომელსაც ესწრება როგორც ევროპის ისე დაპყრობილ ერთა წარმომადგენლები. წელს ასეთი შეხვედრა მოხდა პოლანდიაში ქ. მასტრიცში. ქართველებიდან დაესწრო ახალგაზრდა ოთარ პატარიძე. დიდის კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ მისი გამოსვლა დიდძალ საზოგადოების წინაშე, სადაც მან გააცნო დამსწრეთ ქართული ისტორია კულტურა, მიმდინარე ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენათ. მეორე დღეს ოთარ პატარიძემ ინტერვიუ მისცა გავრცელებულ ჟურნალს «ლისბურგ დაგებლას»... მან გააცნო კორესპოდენტს ქართული ემიგრაციის ბრძოლა—ქართული საქმისთვის, რაც ვრცლად მოთავსებულ იქნა ხსენებულ გაზეთში.

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

უკანასკნელ დროში «ჩვ. დრ.» ფონდში შემოვიდა:

ამხ. გ. ბარამიძე 100 ფრ., სოშოს ამხანაგებიდან 90 ფრ., მიუნხენის ამხანაგიდან 50 ფრ., ამხ. კვარაცხელიაიდან ამერიკა 5 დოლარი, ბ.ნ. ერ. ყავრელიშვილიდან 50 ფრ., ამხ. ს. დონდუაიდან 20 ფრ. რისთვისაც რედაქცია უღრმეს მადლობას მოახსენებს დასახელებულ პირებს.

«ჩვენი დროშის» გამომწვრა შეიძლება შემდეგ მისამართზე

M-r Berichvili

16 bis, rue Jules Ferry. Leuville s/orge

(S. et O.) France.